# შირაქი

დედოფლისწყარო

გამოცემის მე-80 წელი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№17 (9.826)

12 – 19 მაისი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## „რომ ლამაზია მზე გაზაფხულის, ბრძოლების შემდეგ – მზე გამარჯვების“...



გვ.3



გვ.2

## ბიძინა ივანიშვილი პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს

## სოციალური შემწეობის განსაზღვრაში რწმუნებულებიც უნდა ჩაერთნენ“...



გვ.5

## სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლება ღია დიალოგის რეჟიმს ირჩევენ



გვ.2

## „წაიკითხე და წააკითხე სხვასაც“...



გვ.4

## ბიორბობა ისტორიულ ჰერეთში



გვ.8

## ვინ არიან მერის ახალი რწმუნებულები?

გვ.3







C M Y K

# ბიძინა ივანიშვილი პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს



„ქართული ოცნების“ დელეგატებმა ბიძინა ივანიშვილი პარტიის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, აღნიშნულ პოსტზე მოქმედი პრემიერი, გიორგი კვირიკაშვილი შეცვალა.

მმართველი პარტიის რიგით მეხუთე ყრილობას, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი, ბიძინა ივანიშვილი, პარტიის გენერალური მდივანი, თბილისის მერი, კახა კალაძე, პრემიერ-მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი, პარლამენტის თავმდომარე ირაკლი კობახიძე, უმრავლესობის ყოფილი და მოქმედი დეპუტატები, მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლები და რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეები ესწრებიან.

პარტიამ ასევე დაამტკიცა ახალი პოლიტსაბჭო.

„დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ცვლილებები იქნება მძლავრი იმპულსი საქართველოში პარტიული და პოლიტიკური ცხოვრების ახალ საფეხურზე გადასაყვანად,“ - ამის შესახებ თბილისის მერმა, „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა, კახა კალაძემ „ქართული ოცნების“ რიგით მე-5 ყრილობაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

“ჩვენ შევძელით პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილის დაძლევა, თუმცა, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი საკითხის გადაჭრა არის საჭირო ჩვენი ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობის მისაღწევად. პარტიის მე-4 ყრილობის ჩატარებიდან დღემდე, გასული ორი წლის განმავლობაში გატარდა უმნიშვნელოვანესი რეფორმები ჩვენი პარტიის გასაძლიერებლად. გატარდა პარტიის ცენტრალური სტრუქტურების რეორგანიზაცია, გაძლიერდა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები, მნიშვნელოვნად განახლდა პარტიის პოლიტიკური გუნდი. განხორციელებულმა ცვლილებებმა შეასრულა უმნიშვნელოვანესი როლი ჩვენს წარმატებაში 2016 წლის და 2017 წლის საპარლამენტო და ადგილობრივ მუნიციპალურ არჩევნებში. თავისუფალ და დემოკრატიულ არჩევნებში ხალხის მიერ გამოცხადებული ნდობის საფუძველზე ჩვენი პარტია, „ქართული ოცნება“ აგრძელებს ზრუნვას ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე“, - განაცხადა კალაძემ.

„ჩვენ, როგორც ხელისუფლებაში მყოფი მმართველი ძალა, ვგრძნობთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ჩვენი ქვეყნის წინაშე და ვთვლით, რომ პარტია, რომელიც უმრავლესობით არის წარმოდგენილი სახელმწიფოს მართვის ყველა რგოლში - აღმასრულებელ, ადგილობრივ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებაში, საჭიროებს მეტ სიმტკიცეს და ახლებურ მიდგომას. აუცილებელია პარტია „ქართული ოცნება“ გრძელვადიანი პერსპექტივის მქონე ძლიერ ინსტიტუციად ჩამოყალიბდეს, რომელიც არჩევნებიდან არჩევნებამდე მთლიანი ციკლის განმავლობაში იმუშავებს სრული დატვირთვით და ორიენტირებული იქნება განვითარებაზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების გათვალისწინებით“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან დღემდე ძალიან ბევრი სირთულის გადალახვა მოუწია და ეს გზა არ იყო მარტივი. „ჩვენი გუნდი მძიმე მემკვიდრეობას, დიდ გამოწვევებს შეეჭიდა და ბევრი პრობლემის გადაჭრა შეძლო. თუმცა, რა თქმა უნდა, არავინ ფიქრობს, რომ ყველა სირთულე უკან მოვიტოვეთ და შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ.“

# სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლება ღია დიალოგის რეჟიმს ირჩევენ

## ნიკოლოზ ჯანიაშვილი: თვითმმართველობებს არ აქვთ საკმარისი უფლებები, რომ შემოსავალი თავად განკარგონ

***ხელისუფლება მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის ღია დიალოგი მნიშვნელვანია, ამიტომ ყოველწლიური ფორუმი დაფუძნდა, სადაც სამი დღის განმავლობაში მსჯელობდნენ. შეხვედრები ტრადიციულ ხასიათს შეიძენს. პირველი ყოველწლიური ფორუმი „სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგი“ ახალციხეში, ე.წ. რაბათის ციხეში გაიხსნა. საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტად გამოაცხადა ქვეყნის რეგიონების განვითარება და მმართველობითი სისტემის დეცენტრალიზაცია.***

ფორუმს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, ასევე პარლამენტის, სამხარეო ადმინისტრაციების, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ფორუმზე იმყოფებოდნენ სასულიერო პირებიც.

პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მთავრობის მიზანია, რომ ათი წლის განმავლობაში, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსება გაორმაგდეს.

პარლამენტის თავმჯდომარემ საჯარო მოხელეების გადამზადების შესახება ისაუბრა. ირაკლი კობახიძის თქმით, დღეს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი დეცენტრალიზაციაა და ამ კუთხით ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება. კობახიძის განცხადებით, მთავრობის სტრატეგიის მიზანი თვითმმართველობების უფლებამოსილების გაფართოებაა. ამ სტრატეგიის დოკუმენტზე უკვე მუშაობს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ფორუმის მეორე დღეს მერების კონგრესი შედგა, სადაც მოსაზრება დააფიქსირა დედოფლისწყაროს ხელისუფლებამაც. ქონებრივ გადასახადებზე ისაუბრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა. მისი თქმით, ადგილობრივ თვითმმართველობებს არ აქვთ საკმარისი უფლებები იმისათვის, რომ ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი თავად განკარგონ:

„ჩვენი შემოსავლების დიდი ნაწილი უჭირავს ქონების გადასახადს, რომელიც 100%—ით შემოდის თვითმმართველობაში. ამ ყველაფერს კი ადმინისტრირებას ფინანსთა სამინისტრო უწევს. დაინტერესების შემთხვევაშიც კი ძალიან ძნელია, მაგალითად, იმის დადგენა, კონკრეტულმა ფერმერმა გადაიხადა თუ არა მიწის გადასახადი, “ - განმარტა ჯანიაშვილმა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც დედოფლისწყაროს მერმა ისაუბრა გათანაბრებითი ტრანსფერი იყო:

„2014 წელს ჩვენი მუნიციპალიტეტის გათანაბრებითი ტრანსფერი იყო 1 700 000 ლარი, 2018 წელს არის 680 000 ლარი, გაიზარდა ადგილობრივი შემოსავლები, რის პარალელურადაც შემცირდა გათანაბრებითი ტრანსფერი. კარგი იქნება, ზრდის პარალელურად, ტრანსფერი ვთქვათ, 50%—ით შემცირდეს მარტო და მუნიციპალიტეტს ჰქონდეს სტიმული, რომ გაზარდოს შემოსავალი და გააკეთოს უფრო მეტი საქმე, ვიდრე წინა წელს აკეთებდა, “ - აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ჯანიაშვილის კითხვას, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, მზია გიორგობიანმა უპასუხა: „ვფიქრობ, ასეთი დამოკიდებულება სწორი არ არის. ტრანსფერზე დამოკიდებული კი არ უნდა ვიყოთ, არამედ უნდა შევქმნათ ისეთი საშუალებები, რომ მუნიციპალიტეტის დონეზე, გქონდეთ ადგილობრივი ბიზნესის განვითარების შესაძლებლობა“.




დეცენტრალიზაციის განსახორციელებლად, რეგიონული განვითარების სამინისტრო თვითმმართველობებში სამუშაო ჯგუფებს შექმნის და მასში ჩართული ადგილობრივებიც იქნებიან, ამის შესახებ ფორუმზე მინისტრმა განმარტა.

„სამინისტროში მარტში შემოსულ პროექტზე, რომელიც დეცენტრალიზაციის პროცესების განხორციელებას ეხება, აქტიურად ვმუშაობთ. ის სტრატეგიად უნდა ვაქციოთ და ჩამოვაყალიბოთ სამოქმედო გეგმა. ამისთვის თვითმმართველობებში მოქალაქეებთან ერთად სამუშაო ჯგუფები შეიქმნება. ჩვენ მათთან ერთად უნდა განვიხილოთ რეგიონის საჭიროებები, მათ უკეთ იციან თავიანთი მუნიციპალიტეტების ეკონომიკური პოტენციალი“, — ამბობს ცქიტიშვილი.

მისივე თქმით, სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობის პროცესში, რეგიონული განვითარების სამინისტროს აქტიური ურთიერთობა ექნება პარლამენტთანაც: „ცალ-ცალკე მუშაობით ვერაფერს გავხდებით, ამ პროცესში ყველა შესაბამისი უწყება აქტიურად უნდა ჩაერთოს. განსაკუთრებით კი ადგილობრივების და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა გვინდა“.



ხელისუფლება მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს კავშირების დამყარების რამდენიმე გზას სთავაზობს: „მათ შეუძლიათ შექმნან საერთო ააიპი, შპს, ან ჩამოაყალიბონ კერძო სამართლის იურიდიული პირი. მაგალითად, ძაღლსაშენის მოწყობის შემთხვევაში, რადგან აქ მოგება არ იქნება და მხოლოდ საზოგადოებას დავიცავთ ცოფიანი ძაღლებისგან. ასევე, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ ტენდერი გამოაცხადონ და გამარჯვებულ კომპანიასთან ერთობლივად გააფორმონ ხელშეკრულება,“ - განაცხადა პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა.

მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის წარმომადგენელი, ექსპერტი გიორგი ტოკლიკიშვილი ფიქრობს, რომ მსგავს ფორუმებსა და დიალოგებში, დარგობრივი სამინისტროების ჩართულობა აუცილებელია: „მთავრობის დადგენილებით, რეგიონულ სტრატეგიაში მხოლოდ მუნიციპალური პროექტები კი არა, დარგობრივი სამინისტროების მიერ ამ ტერიტორიებზე განსახორციელებელი პროექტებიც უნდა იყოს ასახული, თუმცა არ არის. მუნიციპალიტეტი უნდა იყოს ინფორმირებული, რას აკეთებს, რას გეგმავს მის რეგიონში მაგალითად, განათლების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ა.შ“.

ილია მარტყოფლიშვილი

# ვინ არიან მერის ახალი რწმუნებულები?

***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ყოველკვირეული სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერის მოადგილესთან, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და ა (ა)იპ-ების ხელმძღვანელებთან ერთად გასული სამუშაო კვირა შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.***

თათბირზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მუნიციპალიტეტის სამ ადმინისტრაციულ ერთეულში მერის ახალი წარმომადგენელი წარადგინა, რომლებიც სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას მიმდინარე კვირიდან შეუდგნენ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული პროფესიული საჯარო მოხელეების კონკურსის საფუძველზე , სოფელ ქვემო ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლად ავთანდილ ხუმარაშვილი დაინიშნა, სოფელ არხილოსკალოში – იოსებ კობაიძე, ხოლო გამარჯვების ადმინისტრაციულ ერთეულს ზვიად ზვიადაური უხელმძღვანელებს. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერის ახალ თანაშემწეებს აღნიშნული პოზიციების დაკავება მიულოცა და შემდგომი წარმატებები უსურვა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას ასევე გააცნო ა (ა)იპ ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლია თარაშვილი და ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრის“ ხელმძღვანელი ზაზა ლაპიაშვილი. როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, „აქამდე მუნიციპალიტეტის სკვერების მოვლასა და ტერიტორიის დასუფთავებას შპს „სერვისი-2007“ ახორციელებდა. იმისთვის, რომ უფრო ეფექტური გახდეს დასუფთავების სამუშაოები, ამ მიზნით მოხდა ფუნქციების გაყოფა და გადანაწილება ამ ორ სამსახურს შორის“.

სამუშაო შეხვედრაზე 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავთან დაკავშირებით დედოფლისწყაროში დაგეგმილ ღონისძიებებზეც იმსჯელეს.

სამუშაო შეხვედრაზე იმყოფებოდა გაერთიანებული წყალმომარაგების დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის უფროსი ნოდარ ფიროსმანაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ მაისის ბოლომდე წყლის მიწოდების 24- საათიანი რეჟიმი შენარჩუნდება, ხოლო შემდეგ შედგება გრაფიკი, რომლითაც უკმაყოფილო არავინ დარჩება. ასევე განიხილეს სოფლებში წყალმომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზებზეც იმსჯელეს.

ინგა შიოლაშვილი


იოსებ კობაიძე


ავთანდილ ხუმარაშვილი




ზვიად ზვიადაური

# „რომ ლამაზია მზე გაზაფხულის, ბრძოლების შემდეგ – მზე გამარჯვების“...

***„მჯერა: მე დავიბადე უდიდესი ძვრების მონაწილედ და ამ ომიდან, ამ გრიგალიდან დავბრუნდები გამარჯვებულ ლაშქართან ერთად. მოვივლი ყველა გრიგალებს და დავბრუნდები. ახალგაზრდა ვარ და იმედიანი. არ არის ტყვია, რომელიც მე მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც ჰკლავდნენ და არ კვდებოდა, რადგან იმედიანი ვარ და იმედი ამარცხებს სიკვდილს. რადგან გამბედავი ვარ და სიცოცხლით მოთამაშე“-ეს მირზა გელოვანია, ქართველი ღიმილის ბიჭი, რომელიც ამ იმედიანი სტრიქონების მიუხედავად, ვერ დაბრუნდა ომიდან და პირობაც ვერ შეუსრულა საყვარელ ადამიანებს...***

უკვე 73 წელია, გამარჯვების მაისს აღნიშნავენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მათ შორის საქართველოშიც.

დედოფლისწყაროში ფაშიზმზე გამარჯვების 73-ე წლისთავი აღინიშნა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სოფელ ხორნაბუჯის გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მემორიალთან შეკრებილ საზოგადოებას ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცეს და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს თავდადებისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადეს.

„მოგესალმებით და მადლობას გეუბნებით, რომ მობრძანდით და ერთად ვიზიარებთ ფაშიზმზე გამარჯვების სიხარულს. ქედს ვიხრი იმ გმირების წინაშე, ვინც საკუთარი სიცოცხლე შეწირა ფაშიზმთან ბრძოლას. ჩემი გულის ტკივილია ის, რომ ყოველწლიურად გვაკლდებიან ის ადამიანები, ვინც იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში და რომელთა დამსახურებითაც მსოფლიო გადაურჩა ფაშიზმს. ჯერ კიდევ 2014 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 31 ომის მონაწილე გვყავდა. სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ 6 დარჩა და აქ მოსვლა მხოლოდ ერთმა მათგანმა შეძლო. ზურა პაპას და თითოეულ მათგანს ვუხდი ულრმეს მადლობას და ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ასევე ვისურვებ, რომ მომავალ წელს ექვსივე მათგანი ჩვენს გვერდით იყოს“- ამ სიტყვებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მიმართა.

მეუფე დიმიტრიმ ზოგადსაკაცობრიო ჭრილში განიხილა მეორე სამამულო ომი და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა: „გილოცავთ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, პირველ რიგში მივულოცავ ომის მონაწილეებს, რომელთათვისაც მტრის ტყვიაზე უფრო სასტიკი დრო და ჟამის ცვლა გამოდგა. მათი რიცხვი შემცირდა, მაგრამ მადლობა უფალს, რომ მომავალ თაობას ჯერ კიდევ ჰყავს ომის ცოცხალი გმირები, რომლებთანაც შეხება, მოფერება და უშუალოდ მათგან შეიძლება საგმირო საქმეების მოსმენა. გმირობა ქართველი ხალხისთვის ისეთი საკითხია, რომელზეც ხშირად ვსაუბრობთ და უამრავი მაგალითიც გვაქვს ამის.სწორედ ქართველი კაცის გმირობის გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ პროცენტულად ყველაზე მეტი მეომარი, მოძმე რესპუბლიკებთან შედარებით, საქართველოდან წავიდა და შეეწირა სამშობლოს დაცვას. დღეს ბევრი ამბობს, რომ ეს არ იყო სამშობლოსათვის ბრძოლა, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ სადაც იდგა ქართველი ვაჟკაცი, ის იქ იცავდა საქართველოს პატარა მიწას, იცავდა თავის ოჯახს და თავის სამშობლოს. ცოტა სირცხვილიც კია იმაზე საუბარი, რომ ფაშიზმი არ იყო ბოროტება. ვისაც კი შეხება ჰქონია გერმანიასთან, დამეთანხმება, რომ გერმანელებსაც კი სცხვენიათ ფაშიზმის და არ უნდათ მისი გახსენება. სწორედ ამ სირცხვილისაგან და ბოროტებისგან იხსნეს ამ გმირებმა ჩვენი ერიც და კაცობრიობაც“.

ომის ვეტერანებს მიესალმა და მიულოცა გამარჯვების დღე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა მიხეილ ბახუტაშვილმა.

ღონისძიება მიჰყავდა ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დირექტორს ცარო მარტიაშვილს.

ვეტერანების პატივსაცემად ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით მემორიალთან 9 მაისისადმი მიძღვნილი კონცერტიც გაიმართა.

9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს დედოფლისწყაროს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადად 250 ლარი გადაეცათ.

1945 წლის 8 მაისს ვერმახტის კაპიტულაციის შემდეგ, მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, 9 მაისი კი ფაშიზმზე გამარჯვების დღედ გამოცხადდა. მეორე მსოფლიო ომში 700.000-მდე ქართველი იბრძოდა. აქედან, 5070 დედოფლისწყაროელი, საიდანაც 2 528 დაიკარგა ან დაიღუპა.

**მასალა მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა



# წაიკითხე და წააკითხე სხვასაც...

8 მაისს, დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგის, ქ-ნ ლალი ინაშვილის სადამრიგებლო მეათე კლასში მიგვიწვიეს ღონისძიებაზე "წაიკითხე და წააკითხე სხვასაც". შეხვედრას ესწრებოდნენ მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებიც და იგი სიმბოლურად სკოლის ბიბლიოთეკაში გაიმართა.



პროექტის მიზანი გახლდათ, მოსწავლეებში წიგნის პოპულარიზაცია და კითხვის კულტურის დამკვიდრება, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მოზარდებში წიგნიერების დონის ამაღლებას და კითხვის ჩვევის გამომუშავებას. წასაკითხი მხატვრული ლიტერატურა კი, თავად პედაგოგის მიერ იყო შერჩეული. უნდა აღინიშნოს რომ 19 მოსწავლიდან 8 ათოსანი მოსწავლე გავიცანით, რაც მიანიშნებს, სკოლაში ზოგადი განათლების მიღების მაღალ ხარისხს. მოსწავლეებმა-მარიამ ქადაგიძემ,დავით ნასრაშვილმა, მარიამ სეხნიაშვილმა, ნინო და მარიამ მეხრიშვილებმა, საბა ხუციშვილმა, ნინო თეთრაულმა, ნინო ცისკარაულმა, მინდია წიკლაურმა და ხატია არაბულმა ქართველ და უცხოელ მწერალთა შემოქმედება ისე საინტერესოდ გადმოსცეს და სლაიდ შოუს დახმარებით დაასურათხატეს აუდიტორიის წინაშე, რომ იქვე, ბიბლიოთეკის დარბაზშივე გამოჩნდნენ მსურველები, წარმოდგენილი წიგნების წაკითხვისა. სუადის"ცოცხლად დამწვარი", ჯემალ ქარჩხაძის „მდგმური", სიუზენ კოლინზის „შიმშილის თამაშები", ვიქტორ ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის", დენის ლიჰეინის „წყეულთა კუნძული"და ნიკოლა იუნის „ყველაფერი, ყველაფერი" ზემოთ წარმოდგენილმა მოსწავლეებმა მრავალმხრივ ასპექტში განიხილეს.

სუადის „ცოცხლად დამწვარში" მარიამ ქადაგიძემ და დავით ნასრაშვილმა ისაუბრეს რეალურ ამბავზე დაფუძნებულ პროტესტზე ქალთა ჩაგვრის წინააღმდეგ პალესტინაში, წიგნში აღწერილ თანამედროვე რეალობაზე, რომელიც დაუჯერებელ სისასტიკესა და უსამართლობაზე მოგვითხრობს. სუადიც იმ სასტიკი ტრადიციის მსხვერპლია,რომლის გამო უამრავი ქალი იღუპება, დღესაც კი.

ერაყის ომში მომხდარ რეალურ სამხედრო მოვლენებს - „შიმშილის თამაშებში" გამოეხმაურნენ ნინო და მარიამ მეხრიშვილები საბა ხუციშვილთან ერთად და ამ ყველა საშინელების წინააღმდეგ საკუთარი პროტესტი დააფიქსირეს.

ჯემალ ქარჩხაძის „მდგმურში" რომ დიდი ადგილი ეთმობა ხორცისა და სულის დაპირისპირებას, რომლის ფონზეც იშლება დასავლეთ და აღმოსავლეთ ცივილიზაციების, იდეოლოგიებისა და კულტურების ჭიდილი – ამაზე მარიამ სეხნიაშვილი გვიამბობს შთამბეჭდავად .

ვიქტორ ჰიუგოს „კაცი, რომელიც იცინის", სახეს, რომელიც მუდმივად იცინის და რომლის სიცილის მიღმა უამრავი რამ იმალება, იმალება ტკივილი, პროტესტი და მწარე ისტორია-ნინო თეთრაულის ემოციების თანხლებით კიდევ ერთხელ ვისმენთ.

ნიკოლა იუნის „ყველაფერი, ყველაფერი"-რომ არის ისტორია იმ მღელვარებასა და გულისტკენაზე, რომელიც საკუთარი ნაჭუჭიდან გამოსვლას და სიყვარულის გამო რისკზე წასვლას შეიძლება მოჰყვეს, ცისკარაული ნინო მოგვითხრობს და მშობლებს ახალ საფიქრალს გვიჩენს...

დენის ლიჰეინის ფსიქოლოგიურ თრილერს „ წყეულთა კუნძული", სადაც სიუჟეტის განვითარების კვალობაზე თანდათან იშლება და ერთმანეთში გადადის სინამდვილის, სიზმრის, სიგიჟის, შიშის საზღვრები და მკითხველი, მთავარ გმირთან ერთად, თითქმის ველარ ხვდება, სად სიმართლეა და სად – გამონაგონი, მინდია წიკლაური და ხატია არაბული ერთობლივად გვიყვებიან.



აღსანიშნავია, რომ ერთი კლასის საათში ჩასმული ექვსი წიგნის პრეზენტაციამ მოწვეულ მოსწავლეებში, მონაწილეებსა და სტუმრებზე დიდი ინტელექტუალური შთაბეჭდილება მოახდინა. კლასის დამრიგებელმა და ღონისძიების ავტორმა ლალი ინაშვილმა დასაწყისში თქვა, რომ ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა პრეზენტაციის დაგეგმვისას: მოსწავლეებმა გაიუმჯობესონ წაკითხულის შინაარსის გადმოცემა, ზუსტად გადმოსცენ ავტორის სათქმელი, გაიაზრონ შთაბეჭდილების არსი და ახსნან მიზეზი, რატომ უნდა წააკითხონ სხვასაც. დასასრულს მივხვდით, რომ ბავშვებმა იმდენად საინტერესოდ წარმართეს თავიანთი გამოსვლები, რომ ბევრი ახსნაც კი აღარ დასჭირვებიათ, თუ რატომ უნდა წავიკითხოთ ესა თუ ის წიგნი, მსურველები ადგილზევე იყვნენ და წიგნებს ინაწილებდნენ. დამსწრე პედაგოგებმა ლალი პოპიაშვილმა, მზია ხატიაშვილმა, სასწავლო ნაწილის გამგემ ნათია პოპიაშვილმა და სკოლის დირექტორმა ლალი იაკობიშვილმა დიდი მოწონება გამოხატეს პროექტის მიმართ და მასწავლებელს და მოსწავლეებს მადლობა გადაუხადეს.

ელზა ხარაშვილი

# იუბილარები...

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დედოფლისწყაროს რაიონულმა ორგანიზაციამ საინტერესო ბიოგრაფიის და დიდი შრომითი ღვაწლის ორ ელეგანტურ ქალბატონს ლამარა ჭიჭინაძეს და ციცინო ჩაფიაშვილს, რომელთაც 1 მაისს და 5 მაისს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდათ, საიუბილეო საღამო მოუწყო დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში.

იუბილეზე მოწვეულები იყვნენ იუბილარების ოჯახის წევრები, მათი ყოფილი თანამშრომლები, თანაკლასელები, რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს თანამშრომლები.

საიუბილეო საღამოს წამყვანმა, ჟურნალისტმა ლალი მეხრიშვილმა ისაუბრა ორივე ქალბატონის განვლილი ცხოვრების შრომით მოღვაწეობაზე და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ლამარა ჭიჭინაძის თანაკლასელის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, მსოფლიოს მევენახეობისა და მეღვინეობის სრულუფლებიანი წევრის- ვაჟა მამაიაშვილის მილოცვა, ასევე მისი მასწავლებლის- მარიამ ისაიაშვილის გზავნილი, ლამარა ჭიჭინაძის მენტორის სახელმწიფო ბანკის წითელწყაროს განყოფილების ყოფილი მმართველის ჯემალ კოტაშვილის წერილი, რომლებიც ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდნენ საიუბილეო საღამოს.

პედაგოგ ციცინო ჩაფიაშვილის მოღვაწეობის შესახებ ვრცლად ისაუბრა საბავშვო ბაღის მეთოდისტმა ნათელა თამაზაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას ღვაწლმოსილი პედაგოგების ცისანა მჭედლიშვილის და მერი კოჭლამაზაშვილის გზავნილი გააცნო ლალი მეხრიშვილმა.

იუბილარებს მიესალმნენ: დედოფლისწყაროს მუციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნანული ნატროშვილი, შპს „შირაქის" დირექტორი ინგა შიოლაშვილი, თერაპევტი ლილი ბეგაშვილი, პედაგოგი ნიაზი პაპუაშვილი, სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის პედაგოგი მარიამ გვრიტიშვილი, თამარ ხითარიშვილი, ფარმაცევტი ნათელა ღრუბელაშვილი, ბიბლიოთეკის მმართველი მანანა მაჭარაშვილი, განათლების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე მაყვალა მაძღარაშვილი და სხვები.

იუბილარებს საღამო ქალაქური ქართული სიმღერებით გაულამაზეს შესანიშნავმა ტრიომ ნინო ნიკვაშვილის, მზია წყარუაშვილის და ეკა ტალახაძის შემადგენლობით. პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ძმებმა გიორგი და ნიკოლოზ გველუკაშვილებმა და და-ძმა გური და კესო გოგაშვილებმა ფანდურზე შეასრულეს ხალხური სიმღერების პოპური. სამრეკლოს ანსამბლის ხელმძღვანელის



გაიოზ ხუციშვილის და სოლისტების ნატო ჩიბუხაშვილის და ნანა უძილაურის მიერ „დები იშხნელების" რეპერტუარიდან შესრულებულმა სიმღერებმა დამსწრე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეებმა გიგა ჩაფიაშვილმა და ანტონ ლომსაძემ მხატვრულად წაიკითხეს ლექსი „ვაი, რა ცოტანი ვართ დღეს ქართველები!"

ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის" რედაქტორმა გიორგი ნატროშვილმა იუბილარ ქალბატონებს საჩუქრად გადასცა ალმანახის ახალი ნომერი თავისი ავტოგრაფით.

საღამოს დასასრულს სამადლობელი სიტყვა წარმოთქვეს იუბილარებმა ლამარა ჭიჭინაძემ და ციცინო ჩაფიაშვილმა, მათ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს პროექტის ავტორს და ორგანიზატორს მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარეს, იაკობ გოგებაშვილის და ზურაბ ანჯაფარიძის პრემიის ლაურეატს, ღირსების ორდერის კავალერს ნანა ჭიჭინაძეს, პროექტის მხარდამჭერებს, მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარეს, ვანო ნატროშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს და დამსწრე საზოგადოებას, დედაქალაქიდან სპეციალურად ჩამოსულ სტუმრებს მათი იუბილის ასე ლამაზად აღნიშვნისთვის.

დასასრულს,ვითვალისწინებთ ჩვენი საზოგადოების წევრთა თხოვნას და რამოდენიმე გზავნილს მკითხველისთვისაც ვაქვეყნებთ:

სახელმწიფო ბანკის წითელწყაროს განყოფილების ყოფილი მმართველის **ჯემალ კოტაშვილის** გზავნილი:

„იმ წლებში, როდესაც ყველა სფეროში სახელმწიფო საკუთრება დომინირებდა, ე.წ. მანეთით კონტროლი, ფულის მიმოქცევის, საკრედიტო საანგარიშო სწორება-ბევრი სამეურნეო-საფინანსო საკითხების კონტროლი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული იყო საბანკო დაწესებულებებზე. ქვეყნის მასშტაბით ძირითადად ფუნქციონირებდა მხოლოდ სახელმწიფო ბანკები. ყველა ფულად საანგარიშსწორებო ოპერაციებზე გამოცემული იყო შესაბამისი ინსტრუქციები, რომელთა შესრულებაც მკაცრად კონტროლდებოდა ზემდგომი ინსტანციების მხრიდან. იმდროინდელი სახელმწიფო ბანკის წითელწყაროს გან-



ყოფილებაში სულ მუშაობდა 25 თანამშრომელი, მათ შორის 1982-1995 წლებში ე.წ. „საღამოს სალაროს მოლარედ" ქალბატონი ლამარა ჭიჭინაძე, იგი დღის 4 საათიდან სავაჭრო ობიექტებიდან და საფოსტო დაწესებულებიდან იღებდა ნავაჭრ თანხებს და დადგენილი წესით, გაფორმებული დოკუმენტებით, დალუქულ მდგომარეობაში ცეცხლგამძლე სეიფს აბარებდა დაცვას. (ზოგიერთ შემთხვევაში 24 საათამდეც უწევდა მუშაობა) რომელსაც მომდევნო დღის დილით მმართველთან და მთავარ ბუღალტერთან მარიამ ყაჭეიშვილთან თანდასწრებით სალაროს გამგე იბარებდა. მინდა ავღნიშნო, რომ ქალბატონი ლამარა ჭიჭინაძე ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალკვალიფიციურობით, დიდი პასუხისმგებლობით და მას მუშაობის პერიოდში არ ჰქონია რაიმე მცირედი დარღვევაც კი.

გულწრფელად დიდი პატივისცემით ვულოცავ საიუბილეო თარიღს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბევრ სიხარულს. დიდხანს სიცოცხლეს და უფლის მფარველობას.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემი ყველა ყოფილ თანამშრომელთა მიმართ (1976-2004 წ) გამოვხატო დიდი სიყვარული და პატივისცემა.

ქალბატონო ლამარა!

გილოცავ დაბადებიდან ოთხმოცი წლისთავს! გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, თქვენს საყვარელ ოჯახთან და დედოფლისწყაროელ ხალხთან ერთად.

მე, როგორც შენი თანაკლასელი, ყოველთვის მიხარია შენი წარმატებები, მჯერა, რომ თქვენი გამუდმებული შრომით მიაღწევთ საუკუნოვან იუბილეს და ამ იუბილეს ერთად აღვნიშნავთ. შენ პირველ მაისს ხარ დაბადებული, მე – 9 მაისს. ლამარა, კარგად მახსოვს, მთელი კლასი 1 მაისს თქვენთან რომ ვიკრიბებოდით მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის და შენს დაბადების დღეს ერთად აღვნიშნავდით, ხოლო 9 მაისს ჩემს სახლში და გამარჯვების დღესასწაულს დიდი ზარ-ზეიმით აღვნიშნავდით, რომელიც ჩემს დაბადების დღეს ემთხვეოდა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, მაგრამ ჩემი მეხსიერებაში თანაკლასელების სიყვარული არ განელებულა, კიდევ ერთხელ გილოცავ საიუბილეო თარიღს!

**პატივისცემით,** ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მსოფლიოს მევენახეობისა და მეღვინეობის სრულუფლებიანი წევრი **ვაჟა მამაიაშვილი.**

**მოამზადა**
ელზა ხარაშვილმა

# „სოციალური შემწეობის განსაზღვრაში რწმუნებულებიც უნდა ჩაერთნენ“...

*სოციალური დახმარებების გაცემის წესი, მრავალი წელია, განხილვის საგანია. მოსახლეობაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. სარეიტინგო ქულების განსაზღვრის წესი თითქმის ყოველწლიურად იცვლება, მაგრამ არ მცირდება პრეტენზიების რიცხვი. ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც ისევ მრავლად გვესმის საარსებო შემწეობის უსამართლოდ შეწყვეტის თაობაზე. ხელისუფლებაშიც აღიარებენ, რომ სისტემის გაჯანსაღებისთვის კრიტერიუმების შეცვლა საკმარისი არ აღმოჩნდა და სხვა გზები უნდა მოინახოს. ბოლო ხანს ბევრს საუბრობენ, რომ, შესაძლოა, ხელმოკლე ოჯახების სარეიტინგო ქულების განსაზღვრაში მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობა ჩაერთოს. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად რეგიონებში ხელისუფლება ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს დახმარების მოხსნა-დანიშვნის საკითხებში, უკმაყოფილო მოქალაქეები ძირითადად მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს მიმართავენ. ადგილობრივ თვითმმართველობას კი მხოლოდ ის შეუძლია, რომ სოციალური სააგენტოს ადგილობრივ ფილიალს რეკომენდაციით მიმართოს და ოჯახის ხელახლა გადამოწმება სთხოვოს. ქმედითი დახმარების აღმოჩენის ბერკეტი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას არ აქვს.*



პარლამენტის წევრი, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი **ირაკლი შიოლაშვილი** ფიქრობს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართვა ხელმოკლე ოჯახების სარეიტინგო ქულების განსაზღვრის პროცესში საერთო სურათს ბევრად გააუმჯობესებს და დახმარების გაცემის წესი უფრო სამართლიანი გახდება. შიოლაშვილი ამბობს, რომ მისთვის ხშირად გაუგებარი რჩება, რა პრინციპით უხსნიან, ან უნიშნავენ დახმარებას. დეპუტატი დარწმუნებულია, რომ სოფლის რწმუნებულებს სოციალურ სააგენტოს სისტემაზე უკეთესად შეუძლიათ მათი სოფლის მაცხოვრებლების სიღარიბის დონის შეფასება. საამისოდ მას კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავს.

ირაკლი შიოლაშვილი: ***„ამ საკითხზე პარლამენტში ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ბატონმა აკაკი ზოიძემ გააკეთა განცხადება და განმარტა, რომ ნელ-ნელა, ეტაპობრივად ამ პროცესში თვითმმართველობების ჩართვაც უნდა მოხდეს. მე, როგორც სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი, ვეთანხმები ამ იდეას და მიმაჩნია, რომ ეს ნაბიჯი სწორი იქნება. საპარლამენტო არჩევნების წინ, კამპანიის მსვლელობისას მოსახლეობას პირდაპირ ვეუბნებოდით, რა მოგვწონს, რა არ მოგვწონს და რა გაგვიკეთებია მანამდე.*** როდესაც წინასაარჩევნო კამპანია მქონდა, ამომრჩეველთან შეხვედრისას მუდმივად მესმოდა პრეტენზიები. „იმას რომ აქვს დახმარება, მე რატომ არ მაქვს“, „მე რატომ მომეხსნა, თუკი იმას არ შეუწყვიტეს“, „მე უფრო მიჭირს და სხვას აძლევთ დახმარებას“... უამრავი კითხვის ნიშანი არსებობს დღემდე ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენც ხშირად გვეკითხებიან, მაგრამ ვერც სოფლის რწმუნებული, ვერც მაჟორიტარი, ვერც მერი, ვერანაირ პასუხს ვერ ვაძლევთ. როცა შესაბამის უწყებაში ვცდილობთ გარკვევას, მათი პასუხი არის, რომ თურმე რომელიღაც აგენტმა შეამოწმა ამ ოჯახების მდგომარეობა, შეავსო კითხვარი, შემდეგ სპეციალურ პროგრამაში შეიტანა მათი მონაცემები, მიაწოდა თბილისში საინფორმაციო ცენტრს და კომპიუტერულმა სისტემამ გამოთვალა რაღაც ქულები... ამ ქულების მიხედვით დახმარება ან ინიშნება, ან არა. ძალიან ხშირად, პენსიონერებისთვის კი არა, ჩემთვისაც გაუგებარი რჩება, ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევებში რატომაა მოხსნილი, ან დანიშნული სოციალური დახმარება. ხშირია ისიც, როცა მოხუცის შვილები, ან შვილიშვილები სადმე არიან დასაქმებულნი და პენსიონერს მაინც ეძლევა საარსებო შემწეობა. ან პირიქით, ყველა უმუშევარი ჰყავს და მაინც არ აძლევენ დახმარებას. თავიდან ბოლომდე ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ სოფლის რწმუნებული, მაჟორიტარი და მუნიციპალიტეტის მერი უკეთესად ფლობენ ინფორმაციას, რომელ სოფელში რომელ ოჯახს უფრო ეკუთვნის დახმარება. ამ ცვლილებების და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცება პოლიტიკური პროცესი და სამუშაო საკითხია. თბილისში, რომელიღაც კაბინეტში მდგარმა კომპიუტერმა განსაზღვროს შორეულ საზღვრისპირა, რაიონულ ცენტრს მოწყვეტილ სოფელში მცხოვრები გლეხის ბედი, ნაკლებად რეალურია. არადა სოფლის რწმუნებულებმა ზედმიწევნით იციან მათი მაცხოვრებლების ყოფა. უმჯობესია, თვითმმართველობის წარმომადგენლების აზრიც იყოს დაფიქსირებული სარეიტინგო ქულების განსაზღვრის პროცესში. მაგრამ აქ კიდევ იკვეთება ერთი პრობლემა. ზოგადად, სოციალური დახმარება აბსოლუტურად ყველას უნდა. მათ შორის ერთი ჩემი მეზობელია, ქალბატონი ითხოვს დახმარებას მხოლოდ იმიტომ, რომ პენსიონერია. არადა მას ჰყავს შვილები, შვილიშვილები, მისი შთამომავლობა დასაქმებულია. ადამიანებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, ვის ენიშნება, რატომ ენიშნება და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდნენ. ყველაფერი უნდა იყოს გამჭვირვალე. თუ პროცესი იქნება გამჭირვალე, მაშინ პრეტენზიებიც ნაკლები იქნება, შესაბამისად, აღარ იქნება უსაფუძვლო მოთხოვნა. დღეს, როცა სარეიტინგო ქულას კომპიუტერი ადგენს და ოჯახებს პირდაპირ მიღებული ციფრები ეგზავნებათ, პროცესი არ არის გამჭირვალე და ამიტომაც აღარ დამთავრდა გაუთავებელი შეკითხვები და პრეტენზიები. მეთოდოლოგია რა იქნება, მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ თვითმმართველობის აზრის გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნება. ერთ კონკრეტულ მაგალითს მოგიყვანთ.

2013 წელს, როცა მე დედოფლისწყაროს გამგებელი ვიყავი, გარკვეული ფინანსური რესურსი გამოთავისუფლდა და რწმუნებულებს მივეცი დავალება, რომ თითოეულს შეერჩია 8 ყველაზე გაჭირვებული ოჯახი, რომელთაც შეშით დავეხმარებოდით. სოფლის რწმუნებულებმა მოიტანეს ასეთი სიები, გავანაწილეთ შეშა და თქვენ წარმოიდგინეთ, არცერთი პრეტენზია არ გამოთქმულა, არცერთ ოჯახს არ დაუჩივლია, იმას რომ შეხვდა, რატომ მეც არ დამეხმარეთო... ამით რისი თქმა მინდა, რომ სოფლის რწმუნებულების მიერ ზუსტად შეირჩა ხელმოკლე ოჯახები და გაუგებრობებიც თავიდან ავიცილეთ. დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევებში სოფლის რწმუნებული ვერ გამოიჩენს პირად ინტერესს. დამიჯერეთ, თუ რწმუნებული ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს არ დაასახელებს, მის სახლთან მომჩივანთა რიგი არ დაილევა და რამდენიმე ხანში მოსახსნელი გახდება ის ადამიანი. როცა იმავე სოფელში ცხოვრობ და მუშაობ, ადვილი არ იქნება შენი სოფლის წინააღმდეგ წახვიდე.

ხშირად ადარებენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს ამხელა ხელფასები აქვთ და გაჭირვებულებს ცოტა. საჯარო მოხელეს რომ ჰქონდეს ნაკლები ხელფასი, ეს თანხა გადავანაწილოთ და სოციალურად დაუცველებს დაურიგდეს, ამ მიდგომას არ ვეთანხმები. თუ მოხელეს მისცემ დაბალ ხელფასს, უნდა ჩავთვალოთ, რომ ის სამსახურში ქმედითი არ იქნება და ვერც მისი მუშაობა იქნება პროდუქტიული. თუმცა, კატეგორიულად არ ვეთანხმები არც იმას, როცა გარკვეულ სამსახურებში თანამდებობის პირებს 10 და 20 ათასები აქვთ ანაზღაურება. პირდაპირ ვამბობ ჩემს პოზიციას, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის და ასევე ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეებს არ უნდა ჰქონდეთ ასე კოლოსალურად მაღალი ხელფასი. მაშინ, როცა მინისტრების ხელფასი გაცილებით დაბალია, ასევე პარლამენტარების ანაზღაურებაც დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ ამხელა მანძილზე გვიხდება სიარული და ბევრი ხარჯია საიმისოდ, რომ უფლებამოსილება განვახორციელოთ. ჩვენს ქვეყანაში სულ რამდენიმე სამსახურია, სადაც წარმოუდგენლად მაღალი ხელფასებია და ამას ჩვენ ყოველთვის ღიად ვამბობთ, რომ ეს მიუღებელია“.

ილია მარტყოფლიშვილი

# „წარჩემ“ ჩვენი დღევანდელობა და აფხაზეთის ტკივილი შეგვახსენა

3 მაისს დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ცნობილი პუბლიცისტის, მწერლისა და რედაქტორის, ქალბატონი ეთერ ფაცურიას ახალი წიგნის - „წარჩეს“ პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი და წამყვანი გახლდათ მწიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარე ქალბატონი ნანა ჭიჭინაძე, ხოლო მისი მხარდამჭერები გახლდნენ დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი. შეხვედრის მასპინძელმა, ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა მანანა მაჭარაშვილმა ფართოდ მიმოიხილა ეთერ ფაცურიას ახლადდაბადებული, რიგით მეთხუთმეტე წიგნი „წარჩე“. —„ავტორი წიგნს უძღვნის თავის დებს - ლულის და როზას. მოთხრობაში ტექსტი დიალოგის სტილისაა, მთლიანობაში იგი გვამცნობს ერთი პატარა ოჯახის იდეალურ ცხოვრებას, რომელსაც მხოლოდ ოჯახის დედის, შუშანიკის მძიმე დაავადების წუხილი არღვევს. მეუღლეებს შორის გაშლილი დიალოგი ძირითადად ერთ ფაბულად შეკრული ამბავია. მოქმედება ვითარდება პატარა სოფელში და თითქოს ამ სოფლის ყოველდღიურობით ვცხოვრობთ, ვიღვიძებთ, ვიძინებთ, ვშრომობთ. წიგნში ისე მარტივადაა დახატული მზის ჩასვლის და მთვარის ამოსვლის სურათი, რომ აშკარაა, მამულზე შეყვარებული ადამიანის სულის ამოძახილს ვეცნობით. ცოლ-ქმარი სოფლის მაცხოვრებლებს, მათ საწუხარს, თუ სალხინობელს საუბრით გვამცნობენ. ბევრ ცნობილ ადამიანს ახსენებენ, ლადო ალფენიძეს, სტალინს, გიორგი სააკაძეს. ეფერებიან აფხაზეთის მიწას და დარდობენ მის დაკარგვას, მისტირიან 2008 წლის ომის მსხვერპლ ვაჟკაცებს, ხარობენ შვილების ჩამოსვლით. უნდა ითქვას, წიგნის მთავარი გმირები ყოველდღიურობაში ჩართული ჩვეულებრივი ადამიანები არიან, თავიანთი სიხარულით და ტკივილით,“-ამბობს ქალბატონი მანანა მაჭარაშვილი.




წიგნის „წარჩეს“ პრეზენტაციისას სიტყვით გამოვიდა ასევე დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ქალბატონი ლალი გურასპაული. -„მე, პირადად წიგნის წაკითხვის შემდეგ, საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რა დამრჩა მე ამ წიგნიდან?! - დამრჩა სითბო, მშობლიური აფხაზეთის მონატრება და ტკივილი, სამშობლოს სიყვარული და ჩვენი დღევანდელობა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა და მომხიბლა იმან, თუ როგორ ტკბილად ესაუბრებიან ერთმანეთს მეუღლეები- შუშანიკი და დიმიტრი. ვფიქრობ, მათი ურთიერთობა საუკეთესო მაგალითი უნდა იყოს ყველა ოჯახისთვის, სადაც მეუღლეები შეხმატკბილებულად და ურთიერთპატივისცემით უნდა ელაპარაკებოდნენ ურთიერთს. თუმცა, მათ აქვთ ის დიდი საფიქრალი, რასაც დღეს გაბატონებული სენი, სიმსივნე ჰქვია, შუშანიკი ამ სენით არის დაავადებული და ტკივილი, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოს თრგუნავს და სპობს, შუშანიკის ტკივილშია ჩადებული. ნიშანდობლივია, რომ მოქმედება ხდება აფხაზეთთან ახლოს მდებარე ერთ პატარა ქართულ სოფელ წარჩეში, რამაც ტკივილიანი აფხაზეთისკენ კიდევ ერთხელ მიგვახედა. „წარჩე“ მოგვითხრობს მეუღლეების შეხმატკბილებულ ცხოვრებას, მათ მხარდამხარ შრომასა და გარჯაში ყოფნას, ისინი ეჭიდებიან მიწას და ერთად ებრძვიან როგორც აფხაზეთის დაკარგვით მოუშუშებელ ტკივილებს, ასევე, შუშანიკის განუკურნებელ სენს, რომელიც მის სხეულშია ჩასახლებული. წიგნი ძალიან კარგად აღწერს ჩვენს დღევანდელობას, ჩვენი ახლანდელი სოფლის ყოფა-ცხოვრებას და კიდევ ერთხელ იმ დიდი ტკივილისკენ გვახედებს, რასაც აფხაზეთის ტკივილი ჰქვია,“- აღნიშნა შეხვედრაზე ლალი გურასპაულმა.

შეხვედრაზე წაიკითხეს ასევე ეთერ ფაცურიას ლექსები, რომელიც თავად ლალი გურასპაულმა და მუზეუმის თანამშრომელმა თამარ ჯავაშვილმა გაგვაცნეს.

სიტყვით გამოვიდა სოფელ ხორნაბუჯის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი ქალბატონი ქეთევან მჭედლიშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა საღამოს ორგანიზატორს ნანა ჭიჭინაძეს ესოდენ თბილი შეხვედრისთვის, მშვენიერი წიგნის პრეზენტაციისთვის და აღნიშნა, რომ იმდენად ლამაზად და კარგად წარმოაჩინეს წიგნი ორგანიზატორებმა, ნამდვილად დაინტერესდა და სურვილი გაუჩნდა, ახლოს გაეცნოს ეთერ ფაცურიას ახალგამოცემულ წიგნს.



ცენტრალურ ბიბლიოთეკას არაერთი ლამაზი სალონური შეხვედრისთვის უმასპინძლია, თუმცა, ეს შეხვედრა გამორჩეულად თბილი, ღრმა და სევდიანი გახლდათ, ისეთივე სევდიანი და ღრმა, როგორიც ქართველებისთვის აფხაზეთის საკითხია.

მისასალმებელია, რომ ჩვენს რაიონში აქტიური ქალბატონები მუდმივად მოწოდების სიმაღლეზე დგანან და მათი ინიციატივით სალონური შეხვედრები ხშრად იმართება, რაც პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ დედოფლისწყაროში სხვა მრავალ კულტურულ ღონისძიებასთან ერთად რაიონის შემოქმედებითი ცხოვრება აქტიურ ფაზაშია შესული. დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორს და ღონისძიების უშუალო ორგანიზატორს ასეთი თბილის საღამოსთვის.

ლალი მეხრიშვილი

# ის, რაც უნდა გვახსოვდეს!

## სიკვდილს-სიკვდილით, სისხლს-სისხლით ვაჟკაცურად ხვდებოდნენ!



დღეს 9 მაისია, ფაშიზმზე გამარჯვების 73-ე წლისთავი. რამდენ ტკივილს, მტანჯველ და დაუსრულებელ ლოდინს და გამარჯვების ყიჟინას იტევს ეს წლები! დღითიდღე მიდიან ამქვეყნიდან და უფრო და უფრო ცოტანი რჩებიან ისინი, ვინც საკუთარ მხრებზე გადაიტანა ფაშიზმის წნეხი და სისასტიკე, მაგრამ არ შედრკა, განგების ნებით, გამარჯვების დღეც იზეიმა და ქვეყნის ომისშემდგომი შენების და გაძლიერების საქმეში აქტიური მონაწილეობაც მიიღო. როგორ ვაფასებთ მათ, როგორ ვუწყობთ ხელს გავუადვილოთ სიბერე, გვახსოვს თუ არა ისინი მთელი წლის მანძილზე 9 მაისის ზეიმის გარდა, და სხვა მრავალი დღევანდელი ჩემი წერილის თემა არ გახლავთ და სხვა გავრცობა სჭირდება მას. დღეს მე მინდა გავიხსენო ერთი შესანიშნავი, პატრიოტული სულით ანთებული კაცი, რომელმაც დიდი საბრძოლო გზა გაიარა, ოჯახს ცოცხალი დაუბრუნდა, აქტიური მონაწილეობა მიიღო ომის ჭრილობების მოშუშების და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში, მოესწრო თავისუფალ საქართველოს და 1999 წლის დეკემბერში, 79 წლის ასაკში, ვალმოხდილმა დატოვა ეს წუთისოფელი. ჩვენ, ძველგაზრდებს, ის კაცი გვახსოვს, მაგრამ დღეს მისი გახსენებით ახალგაზრდებს მინდა ვუთხრა, რომ მათი ღვაწლი და ამაგი სათანადოდ უნდა იყოს დაფასებული, რომ ისინი მარტო საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური პარტიისთვის კი არ იბრძოდნენ, არამედ ებრძოდნენ მსოფლიოს შავ ჭირს – ფაშიზმს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში დედამიწის თითქმის მესამედი იყო ჩართული, ისინი სამშობლოს გადასარჩენად და ჩვენი მომავლისათვის იბრძოდნენ.

მაშ ასე, გავიხსენოთ წითელწყაროს (შემდგომში დედოფლისწყაროს) ერთი კოლორიტი პიროვნება, რომლის სახელი და გვარია შოთა ნატროშვილი. ის დაიბადა 1920 წლის 6 ივნისს წითელწყაროში. მამა – ლევან ნატროშვილი მალევე გარდაიცვალა, დედა – ანეტა გიგოლაშვილი თავდადებით ზრდიდა შვილებს – შოთას და დარიკოს, მაგრამ ხიფათს არ ეძინა, დარიკო ურმიდან გადმოვარდა, მძიმე ტრავმა მიიღო და სიცოცხლის ბოლომდე ხეიბარი დარჩა. დედის გარდაცვალების შემდეგ დაზე მზრუნველობა ძმამ აიღო და, როგორც იტყვიან, დამწვარი თითივით უფრთხილდებოდა. შოთას გამორჩეული კაცთმოყვარეობის დასადასტურებლად მინდა კიდევ რამდენიმე ფაქტი მოვიყვანო: დეიდა ჰყავდა, ნინა ბულაშვილი, რომელსაც ორი ვაჟი ჰყავდა და ორივე გარდეცვალა. სიცოცხლის ბოლომდე შიგნით-გარეთ სულ შავი ემოსა უბედურ დედას. შოთა ყოველდღე აკითხებდა გამწარებულ მშობლებს, პატრონობდა მათ და როდესაც ნინა გარდაიცვალა, პატივით მიაბარა მიწას შვილების გვერდით, ხოლო ბიძა, საკუთარ სახლში გადმოიყვანა და მისი მეურვეობა თავის თავზე აიღო. მთელი სანათესაოს პატრონი იყო, ვისაც რა გაუჭირდებოდა მას მიმართავდნენ, რადგან იცოდნენ, რომ უყურადღებოდ არავის დატოვებდა. ბავშვობიდან სიკვდილამდე გაჰყვა ჰუმანური და რომანტიკული ხასიათი.

20 წლის იყო, სავალდებულო სამხედრო სამსახურში რომ გაიწვიეს 1940 წელს. ჩამოყალიბებულ ჯარისკაცად შეხვდა, მეორე მსოფლიო ომს. უკრაინის I ფრონტზე 845 პოლკში ჩარიცხეს და ბრძოლის ქარ-ცეცხლით გაიარა საბჭოთა მიწა-წყალი, მონაწილეობდა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, სლოვაკიის განთავისუფლებაში. კონსტანცა, ლვოვი, ბრატისლავა, პრაღა, ჟიტომირი, როვნო, ვინიცა, კრაკოვი ტყვიის წვიმაში გაიარა და თავისი წვლილი შეიტანა ფაშიზმისაგან ამ ქალაქების გამოხსნის საქმეში. ერთ-ერთი ქალაქის იერიშის დროს, როცა გერმანელებმა ჩვენს წინააღმდეგ ჭარბი ძალები გამოიყვანეს და კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ, მან დავალება მიიღო, ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეეჩერებინა გერმანელთა შემოტევა. ამისათვის საჭირო იყო ახალი, მოხერხებული პოზიციის დაკავება. მან 66 კილოგრამიანი ტყვიამფრქვევი ზურგზე მოიკიდა, თითქმის 100 მეტრი გაირბინა, მოხერხებულად ჩასაფრდა და დამცავი ცეცხლი გაუხსნა იერიშზე გადმოსულ ფაშისტებს. ჩვენს ჯარისკაცებს საშუალება მიეცათ და შემართებით ეკვეთნენ მტერს, ნაწილი გაანადგურეს, ნაწილი ტყვედ ჩაიგდეს და წინ წაიწიეს. სწორედ ამ თავდადებისათვის დაჯილდოვდა ის **დიდების ორდენით.** მრავალი მედალი და სიგელი დაიმსახურა, თვით სტალინის ბრძანებით სამჯერ გამოეცხადა მადლობა ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ ვაჟკაცური და თავდადებული ბრძოლისათვის, ორჯერ მიიღო მადლობის სიგელი უკრაინის პირველი ფრონტის მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ი. კონევის ხელმოწერით. ბევრჯერ დაიჭირა და გამოჯანმრთელებული კვლავ დაუბრუნდა ფრონტის წინა ხაზს. გამარჯვების ყიჟინა ბრატისლავაში დასაცა და მთელ მსოფლიოსთან ერთად იზეიმა ამ სისხლიანი და გაუგონარი სისასტიკით განვლილი გზის დასასრული. იგი 1946 წელს დაუბრუნდა მშობლიურ მიწას ვალმოხდილი და ამაყი. ექვსი წელი ეცვა საბჭოთა ჯარისკაცის ფარაჯა და არასოდეს შეუცხვენია ის. ასეთი იყო იმ ეპოქის ცხოვრების მრწამსი, ასე ცხოვრობდა მაშინ საბჭოეთი. ომის ქარ-ცეცხლგამოვლილმა 26 წლის ვაჟკაცმა, როგორც იქნა, სიმშვიდე იგრძნო და მომავალზე ფიქრიც დაიწყო. მიიხედ-მოიხედა და მეუღლედ, ამ სიტყვის სრული გაგებით, ერთი გონებაგახსნილი, მასავით პროგრესულად მოაზროვნე და განსწავლული გოგონა შეარჩია. ლიზიკო მეხრიშვილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. ოჯახი შეიქმნა და დაიწყო თანაცხოვრების წლები, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ერთგულებაში, შრომასა და ურთიერთზრუნვაში გაატარეს. პირველი ქალიშვილი 1949 წელს შეეძინათ. ნინო დაარქვეს. მერე ტყუპი ბიჭების მშობიარობას კინაღამ შეეწირა ლიზიკოს სიცოცხლე. ბიჭები ვერ გადაარჩინეს. ლიზიკოს შვილიერებაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა და დარჩნენ ერთი შვილის ამარა, რაზეც ცოლ-ქმარი სულ წუხდა, რომ სამშობლოს წინაშე თავი ვერ მოიწონეს მრავალშვილიანობით. შრომითი გზა კი ორივემ დიდი გაიარა. ლიზიკო ჯერ სოფელ წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენას, შემდეგ განათლების განყოფილების მეთოდისტი იყო, 40 წელი კი სოფელ ჯაფარიძის (შემდგომში სამრეკლოს) საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ და ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად იმუშავა. არც საზოგადოებრივი და პარტიული დავალებები აკლდა. ის მუდამ დიდი ავტორიტეტი იყო და ჩვენი რაიონის ინტელიგენციის ავანგარდში იდგა. რაც შეეხება შოთას, მისი შრომითი გზა სავსე იყო ხალისით, შემართებით, ახალ-ახალის ძიებით და მრავალფეროვნებით. მიუხედავად იმისა, რომ მას თეატრალური განათლება არ ჰქონდა, ხელოვნებისადმი დიდ სიყვარულსა და სამსახიობო ნიჭს ავლენდა. 1956 წელს დანიშნეს და 20 წლის განმავლობაში სათავეში ედგა ჯაფარიძის სასოფლო კულტურის სახლს, ილვწოდა, როგორც რეჟისორი და როგორც მსახიობი. მან განახორციელა არაერთი დადგმა, მათ შორის „პატარა კახი", „ანზორი", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „რაც გინახავს, ველარ ნახავ", „ ხევისბერი გოჩა" და მ რავალი სკეტჩი თუ იუმორისტული სიუჟეტი. თავადაც წარმატებით განასახიერებდა სხვადასხვა ხასიათის როლებს. გამორჩეულად შეიყვარა ხალხმა მისი ხევისბერი გოჩა და მას მეტსახელად ხშირად „გოჩასაც" ეძახდნენ. ბევრი ჯილდო აქვს მიღებული, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: საქართველოს კულტურის სამინისტროს 1 ხარისხის დიპლომი მხატვრული თვითმოქმედების ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსში წარმატებისათვის, საპატიო სიგელი საქართველოს თეატრალური საზოგადოებისაგან, 1968 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილ მხატვრული კითხვის კონკურსში საპატიო დიპლომი ზეპირად წაკითხული მისი პოემისათვის „ბედი ქართლისა". ყველაზე დიდი ჯილდო კი მისთვის ხალხის სიყვარული და აღიარება იყო. დღესაც ახსოვთ მისი აქტიური მონაწილეობით მომზადებული პირველი სახალხო ზეიმი „მოსავლის დღე", სადაც ის მოსავლისა და ნაყოფიერების ღმერთს განასახიერებდა და ისეთი სახასიათო კოსტიუმი შექმნა, რომ მაშინდელმა რაიკომის პირველმა მდივანმა გურამ ლოლაძემ სპეციალურად მიიწვია გასაცნობად და საპატიო სიგელითაც დააჯილდოვა. შოთას დიდი კავშირები ჰქონდა თბილისის რუსთაველის და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებთან. ჩამოჰყავდა მათი მხატვრული კოლექტივები და არაერთი სპექტაკლი დადგმულა ჯაფარიძის კულტურის სახლის სცენაზე, რომელშიც ჩვენი ქვეყნის კაშკაშა ვარსკვლავები, დამსახურებული მსახიობები ღებულობდნენ მონაწილეობას. თავმომწონედ მასპინძლობდა მათ და აჩვენებდა კახური პურ-მარილის მადლს, ხვავსა და ბარაქას, თავს იწონებდა, როგორც საუკეთესო თამადა. წლების განმავლობაში იყო ჯაფარიძის სასოფლო-საბჭოს დეპუტატი და არაერთხელ მიუღია მონაწილეობა წაკიდებული მეზობლების, რძალ-დედამთილის თუ ცოლ-ქმრის დაშოშმანებასა და შერიგებაში.

ცალკე საუბრის თემაა შოთა ნატროშვილი, როგორც პოეტი. ის ბავშობიდანვე წერდა ლექსებს, ფრონტზე, ტყვიების ზუზუნისასაც სწვევია მუზა, უმღეროდა სამშობლოს პატრიოტული გრძნობით აღვსილი, ჩვენს მთა-ბარს, მინდორ-ველებს, მამაც და მშრომელ ადამიანებს, არ დარჩენილა თარიღი და მოვლენა მისი კალამი რომ არ შეხებოდა, გამორჩეულად ეთაყვანებოდა ჩვენი ერის ისტორიას, მეფეებს, ნიმუშად გთავაზობთ მხოლოდ ერთ ლექსს:

### გმირი დიდგორისა

აღმაშენებელო,
ერის მწყალობელო,
ამღორძინებელო,
ჰიმნთა მგალობელო,
ქართველთ სახარებავ,
გულით სანატრელო
ხოტბას გასხამს მარად
შენი საქართველო
ნათლით გმოსავს ხალხი,
მუდამ ჰირნათელო,
ერის გადამრჩენო,
ენის დიდმფარველო.
შენ ხარ ისტორია
ქართლის შენებისა,
შენივე გელათის
ფრესკად მშვენებისა.
შენ დაღლილი ხარ
ბრძოლების ჟინითა,
ხმლით რომ კვეთავდი
მომხდურს ყიჟინითა.
მკვდრეთით წამოდექი
მეფევ დიდგვარისა,
კვლავ ჩვენთანა ხარ,
გმირო დიდგორისა!

ეს ლექსი შოთამ 1989 წელს დაწერა. იგი გრძნობდა, რომ თავისუფალ საქართველოს უდგებოდა პერიოდი, როცა აღმაშენებლის გონიერება, სიმამაცე, პატრიოტიზმი და ქვეყნის მართვის ძლერი ხელი დასჭირდებოდა.

აღსანიშნავია, აგრეთვე, მისი ჟურნალისტური საქმიანობა. მრავალი ათეული წელი იყო გაზეთ „ახალი შირაქის" (შემდგომში „შირაქი") აქტიური შტატგარეშე კორესპონდენტი. ხშირად იბეჭდებოდა მისი წერილები და კორესპონდეციები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს ეხმიანებოდა. ერთხანს, რედაქციის შტატიანი თანამშრომელიც გახლდათ.

შოთა ნატროშვილი ბოლო ათეული წელი ვეტერანთა რაიონული საბჭოს მდივნად მუშაობდა და თავისი ჩვეული ენერგიულობით იცავდა ომის ვეტერანთა ინტერესებს. მაშინ ასობით ვეტერანი ერიცხებოდა რაიონს და შოთა აპრილშივე იწყებდა ზრუნვას 9 მაისის დღესასწაულის ღირსეულად აღნიშვნისა და მათი მასპინძლობისათვის. სამხედრო ნაწილის უზარმაზარ სასადილოში იშლებოდა სუფრა, იყო მოგონებები, მადლიერება, მოფერება და სიყვარული. მათ შორის შოთა მრავალი მედლით, სამამულო ომის პირველი ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით მკერდდამშვენებული.

მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა რაიკომის პირველი მდივნის გივი ჭარაქაშვილის ინიციატივით და საკავშირო ბიუჯეტიდან სპეციალურად გამოყოფილი თანხებით წითელწყაროს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭომ, რომელსაც იმჯერად შოთას სიძე თენგიზ იაკობიშვილი ედგა სათავეში, ქალაქ წითელწყაროს შემოსასვლელში შინმოუსვლელთა სახელობის მემორიალის და პარკის მშენებლობა დაიწყო. ოთხ თვეში, ელვისებური სისწრაფითა და დღე და ღამ მუშაობით 1985 წლის 9 მაისი მშვენიერ პარკში აღინიშნა. რადგან ობელისკის მშენებლობა ვახსენე, აქვე მინდა ვთქვა, რომ შოთას ქალიშვილს – ნინოს, რომელმაც უცხო ენების ინსტიტუტი დაამთავრა ინგლისური ენის განხრით, და რომელიც ათეული წლები სოფელ ჯაფარიძის სკოლაში მომავალი თაობის აღზრდას ემსახურებოდა, ღირსეული მეუღლე შეხვდა თენგიზ იაკობიშვილის სახით. თენგიზი ზემომაჩხაანელია, ქალაქ სმოლენსკში დაამთავრა სამშენებლო-საინჟინრო ფაკულტეტი, რაიონში დაბრუნებული სათავეში ჩაუდგა საკოლმეუნებათაშორისო სამშენებლო საბჭოს, უამრავი სამშენებლო პროექტის ავტორი და შემსრულებელია. მის სახელთანაა დაკავშირებული ათეულობით ფერმის თუ მემინდვრეთა სახლების მშენებლობა (სამწუხაროდ ახლა ზოგი ნანგრევებად იქცა, ზოგსაც, ძირითადად, აზერბაიჯანელი მწყემსები დაეპატრონნენ), რაიპოლიკლინიკის და რაისაავადმყოფოს შენობები, ქალაქის შემოსასვლელის სავიზიტო ბარათი ორმხრივი სამანქანო გზა და სხვა მრავალი. მე ხელთ მაქვს გაზეთ „შირაქის" 1989 წლის 21 თებერვლის ნომერი, სადაც ალადაშვილის ქუჩის მცხოვრებლები მადლობას უხდიან სამშენებლო საბჭოს და მის ხელმძღვანელს თენგიზ იაკობიშვილს მათი ქუჩის კაპიტალურად და ხარისხიანად გაკეთებისათვის, ქუჩისა, რომელიც ისეთი ათხრილ-დათხრილი და მოუწესრიგებელი იყო, რომ მოსახლეობა ფეხით გავლას ვერ ახერხებდა და მოსწავლეები შემოვლითი გზით დადიოდნენ სკოლაში. დღეს თენგიზ იაკობიშვილი კერძო საქმიანობითაა დაკავებული და ერთ-ერთი წარმატებული მეურნეა რაიონში.

ახლა შოთა ნატროშვილის და ლიზიკო მეხრიშვილის ნაფუძვარზე მისი ქალიშვილის ოჯახი ცხოვრობს. მათ ორი შვილი გიორგი და თამარი ჰყავთ. თამარი სამი უმშვენიერესი ბავშვის დედაა, თიკა, ნატალი და ანდრია სულხანიშვილების სურათები მუდმივად ამშვენებენ გაზეთ „შირაქის" საახალწლო კალენდარს. ცხოვრობს ერთი მშვიდი, ლამაზი, მოსიყვარულე ოჯახი იმ ადამიანების სიცოცხლის უკვდავსაყოფად, რომლებმაც ღირსეულად იცხოვრეს, დატოვეს სიკეთის კვალი და მათ ხსოვნას სათუთად და პატივისცემით ინახავენ.

**ამ წერილით მინდა პატივი მივაგო სამამულო ომის ყველა ვეტერანის ხსოვნას, ვინც იომა, იშრომა და პირნათელმა და ვალმოხდილმა დატოვა ეს ქვეყანა. მათი ღვაწლის არდავიწყება ჩვენი ვალია. პატივი და დიდება მათ!**

ნაირა გორაშვილი




## „შირაქის“ სკივრი

**გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.**

## 1975 WLIS MAISI

● MAS SEMDEG, RAC KAPITALIZMMA FEXI MOIKIDA, KOMERCIULI SAMIKITNOEBI GACNDA, XAFANGI SUSTI NEBISYOFIS ADAMIANEBISTVIS. NISIAD RREOBEBI DAXLIDAREBIS SATYUARAA. DANAXARJS DAVTARSI ERTIATAD CAWEREN-XOLME. AMAZEA NATQVAMI, NISIA ADAMIANS ORJER ATROBSO. RIT UNDA IRREOS ADAMIANMA DA RIT IXADOS NISIA, TU QURDOBA-XELMRUDOBAS AR MIHYO XELI? AMITOMAC LOTOBA XELMRUDOBISA DA CUDKACOBIS WYAROD IQCA. VIN ARIS LOTI, TU ARA MEDREURI, DAUSAQMEBELI KACI? MSROMEL ADAMIANS RREOBIS DRO VIN MISCA? LOTI ARIS IOLI GZIT, `XALTURIT~ MOMXVEWELI, BNELI RAMIS OSTATI. ASET SAZRAXIS SAQMES ISINI MISDEVEN, ROMELTAC SAXALXO DOVLATZE XELI MIUWVDEBAT. VIN ARIAN, TU ARA PARAZITEBI? GONEBIS TVALIT GADAHXEDET MAT SAXL-KARS DA KAR-MIDAMOS DA TAVAD GANSAJET, ROGORI OFLISMRVRELEBI ARIAN. MANQANEBS CXVIRSAXOCEBIVIT ICVLIAN, CAMOAQVT SXVADASXVA QVEYNIS AVEJI SAXLISTVIS. TVALS NU DAVXUWAVT SINAMDVILIS WINASE. AMAT XELSEMWYOBIC BEVRI HYAVT, TOREM KRILOVIS BAYAYIVIT ASE AR GAIBEREBODNEN. BODISS MOVIXDIT PATIOSNAD MSROMELEBIS WINASE, MAGRAM MAINCDAMAINC AM XELMRUDEEBS UNDAT MATI SVILEBI IYVNEN HURISTEBI, EQIMEBI, MSENEBLEBI, SAWYOBIS GAMGEEBI. GAMRUDEBUL SAQMES KI ARAFERI ESVELEBA, GARDA IMISA, ROM DAVGMOT.

● DIDI SAMAMULO OMIS 30 WLISTAVS MIEZRVNA SALVA DADIANIS SAMMOQMEDEBIANI DRAMIS DADGMA. PIESA SOFEL JAFARIZIS SASOFLO KULTURIS SAXLIS DRAMATULMA KOLEQTIVMA ACVENA. DADGMA EKUTVNIS KULTSAXLIS SAMXATVRO XEMZRVANELS ESMA LATIBASVILS. ROLEBS KARGAD ASRULEBDNEN N. BURDULI, Z. TOXISVILI, T. NASRASVILI, S. NATROSVILI, G. LEKASVILI, C. SEFIASVILI. PIESA MAYUREBELMA IMDENAD TBILAD MIIRO, JAFARIZIS KULTSAXLS NEBA MIECA PIESA RAIONIS SXVA SOFLEBSIC GAITANOS. ZOGIERT SOFLEBSI ISINI UKVE IYVNEN, ZOGGAN AXLA APIREBEN ACVENON.

● TARIBANIS WYALSACAVIS MSENEBLOBIS MEORE RIGI ITVALISWINEBS MDINARE IVRIDAN WYLIS GADMOQACVAS DA YUSISXEVIS WYLIS MARAGIS-GADIDEBAS. IVRIS NAPIRZE UNDA MOEWYOS MZLAVRI SAQACI, ROMLIS SASUALEBITAC MDINARES WYALI AIQACEBA KOWAXURAS MTAZE. AQ UNDA DAIWYOS DIDI AUZIS MSENEBLOBA, SADAC DAGROVDEBA IVRIDAN AMOQACULI WYALI. KOWAXURAS MTA MDINARE YUSISXEVIS DONESTAN SEDAREBIT 80 METRIT MARALIA. AUZIDAN WYALI TVITDINEBIT WAVA WYALSACAVSI. DAGROVILI WYALI UZRUNVELYOFS TARIBANIS MASIVSI MDEBARE JAFARIZIS, WITELWYAROS, ORJONIKIZIS, ARXILOSKALOSA DA GAMARJVEBIS KOLMEURNEOBATA VENAXEBIS DA NATESEBIS MORWYVAS. TARIBANIS WYALSACAVIS MEORE RIGIS MSENEBLOBIS DAMTAVREBA GATVALISWINEBULIA 1977 WLISTVIS. ASE ROM, IORSAC MOTOKAVEN.

● WITELWYAROS KULTURIS GANYOFILEBIS AVTOKLUBIS AGITMXATVRULI BRIGADA AMASWINAT SAGAZAFXULO IALAREBZE RAIONIS KOLMEURNEOBEBIS MSROMELEBS DA MECXVAREEBS ESTUMRA. AVTOKLUBIS GAMGE, RESPUBLIKURI FESTIVALIS LAUREATI KARLO GOGASVILI CVENI GAZETIS KORESPONDENTTAN SOTA BIKASVILTAN SAUBARSI AMBOBS, ROM TRADICIULAD BRIGADA GAMOZAFXULEBISTANAVE GADIS IALAREBZE LEQCIA-KONCERTEBIS CASATAREBLAD. SANAM KONCERTEBS DAIWYEBDNEN, MSMENELS SAQARTVELOS KOMPARTIIS CENTRALURI KOMITETIS PLENUMIS MASALEBS ACNOBDNEN.

● SAXALXO KONTROLIS WITELWYAROS KOMITETSI GANIXILES PURPRODUQTEBIS RAIONUL BAZASI MARCVLEULIS MIREBIS WESEBIS DACVISA DA LABORATORIULI ANALIZIS UTYUAROBIS SEDEGEBI. LABORATORIA DAKOMPLEQTEBULIA KVALIFICIURI KADREBIT, YVELA XELSAWYO SEMOWMEBULI DA DADARULIA, MIUXEDAVAD AMISA, GAMOIKVETA NAKLOVANEBANIC. ZOGIERTI KOLMEURNEOBA BAZASI AGZAVNIS UKONDICIO MARCVALS. NAGVIANOBIS GAMO UKAN DAUBRUNES MARCVALI ZEMO MACXAANISA DA ZEMO QEDIS KOLMEURNEOBEBS. MARCVLIS CAXUREBIS MIZEZIT SABATLOSA DA GAMARJVEBAS, XOLO MARALI SINOTIVIS GAMO JAFARIZIS DA GAMARJVEBIS KOLMEURNEOBEBS. AUCILEBELIA LABORATORIULI ANALIZEBI UTYUARI IYOS.

● SAWYOBIS GAMGEEBMA SABATOBA MOAWYES, DILAADRIANAD MIVIDNEN SAMSAXURSI. AVTOMANQANEBIDAN SAQONLIS GADMOCLAS KI AR SEUDGNEN, DILIDANVE COCXI DA NICBEBI DAIWIRES DA EZOEBI DAASUFTAVES. 9 SAATISTVIS SAQME UKVE DASRULEBULI HQONDAT, EZOEBI KARGAD DAESUFTAVEBINAT. ARC NAGAVI WAURIAT SORS, SAWYOBEBIS WIN ROM TXRILEBIA, IQ CAYARES. QALAQIS NAGAVI XOM COTA IYO, IMAS KI AR FIQROBEN, ROM NAGAVZE BUZI CNDEBA. IQVE GVERDIT KI SASAUZME DA TONEA. IMAVE DRES SABATOBA CAATARES SAKOLMEURNEO BAZARMA, RAIUNIVERMARMA, STAMBAM DA SAGZAO GANYOFILEBAM. KARGIA, ROCA WUWYIS MOCILEBAZE VZRUNAVT, MAGRAM AMISATVIS GANA SPECIALURI SABATOBIS MOWYOBAA SAWIRO? XELS USLIS ISIC, ROM YVELGAN AR ARIS NAGVIS CASAYRELI YUTI, ZOGS SAXURAVI ARA AQVS.

## 1982 WLIS MAISI

● DIDI MOGEBEBIA WITELWYAROSI. SOFEL TAVWYAROSI MCXOVREBMA SERGO ANTONIS ZE GABARASVILMA DOSAAFIS LARATIIS BILETIT MOIGO ETLIANI MOTOCIKLI `URAL-3~, ROMELIC 1 745 MANETIS RIREBULEBISAA. XOLO IMAVE LATARIIS MEORE GAMOSVEBIT QALAQ WITELWYAROS PIRVELI SKOLIS MECXRE KLASIS MOSWAVLEM LIA ANZORIS ASULMA MARTYOFLISVILMA MOIGO MOTOCIKLI `VOSXOD - 3~, ROMELIC 540 MANETIS RIREBULEBISAA - ATYOBINEBS REDAQCIAS DOSAAFIS WITELWYAROS RAIONULI KOMITETIS TAVMJDOMARE T. POPIASVILI.

● DAZABULI DREEBI UDGAT SAMTAWYAROEL SABWOTA MEVENAXEEBS. GANSAKUTREBIT SASURI SAQMEA VENAXIS GADAYVANA BETONIS SPALEBZE. ES RTULI SAMUSAO RKINIGZIS SADGURIDAN IWYEBA, SAIDANAC MEURNEOBASI EZIDEBIAN RKINA-BETONIS SAYRDEN BOZEBS VENAXISTVIS. VAGONEBIDAN XDEBA TVIRTIS CAMOZIDVA DA AVTOMANQANEBZE DATVIRTVA.



● QALAQ WITELWYAROSI KOMUNALURI BINEBIS MIREBISTVIS ARRICXVAZE MYOFI MOQALAQEEBI 10 RICXVAMDIS UNDA GAMOCXADDNEN SABINAO MEURNEOBASI DA WARMOADGINON SESABAMISI SABUTEBI. WINAARMDEG SEMTXVEVASI AMOREBULI IQNEBIT BINIS MIREBIS ARRICXVIS SIIDAN - SABINAO MEURNEOBIS SAXLTMMARTVELOBA.

● YVELAZE DIDI PROBLEMA, RAC SOFEL WITELWYAROS RUSULI SASUALO SKOLIS ADMINISTRACIIS WINASE WLEBIS GANMAVLOBASI IDGA, ESAA CENTRALURI GATBOBIS MOUWESRIGEBLOBA. AKADEMIUR MOSWREBAZE ROGOR UNDA ILAPARAKO MASIN, ROCA KLASEBSI BAVSVEBIS NAXEVARZE METI SICIVISGAN SESINEBULEBI SKOLASI AR MOSULAN? ASEA WLEBIS MANZILZE, CVEULEBAD IQCA DA TITQOS SXVAGVARAD VERARC WARMOEDGINAT. WLEVANDELI WELI DADGA TU ARA, SKOLIS ADMINISTRACIAM SEFOBA STXOVA RAMDENIME ISET ORGANIZACIAS, ROMELTA XELMZRVANELEBMAC GULTAN AXLOS MIITANES MOSWAVLEEBISA DA PEDAGOGEBIS GAWIRVEBA DA SKOLAS DAXMAREBIS XELI GAUWODES. WELS PIRVELAD GATBA WLOBIT GATOSILI KLASEBI. MAGRAM, SKOLIS TANAMSROMLEBS SXVA GULISTKIVILIC AQVT. SAREMONTO KANTORAM GASULI WLIS IVNISSI DAWYEBULI SPORTMOEDNIS MSENEBLOBA DA SKOLIS REMONTI DREMDE VER DAAMTAVRA.

● NORCI ANTIFASISTIS DRE ARNISNES ARXILOSKALOSI. SAGANGEBOD MOEMZADA ARXILOSKALOS SKOLIS PIONERULI RAZMEULI. GMIRTA MEMORIALTAN XAZZE MWYOBRAD MOEWYO RAZMEULI DA PIONERULI XAZI DAIWYO. SEMDEG NORC ANTIFASISTTA XANMOKLE GMIRUL CXOVREBAZE ISAUBRES, LEQSEBI TQVES, KRZALVITA DA PATIVISCEMIT MOIXSENIES ANTIFASISTEBI. TAYVANI SCES MAT SAXELEBS DA XAZI DAXURES.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# ნაპოვნი დღიურები

***გაზეთ „ახალი შირაქის“ რედაქტორის მოადგილეს უშანგი წყარუაშვილს ხელში ჩაუვარდა ნაპოვნი დღიურები, სადაც სამამულო ომის ექოა ასახული. ლურჯყდიან რვეულებს აწერია „წითელწყარო - 1942-1955 წწ.“ ავტორების ვინაობა უცნობია. ჩანაწერები ფანქრითაა გაკეთებული და ალაგ-ალაგ არაფერი იკითხება.***

◆ „ერთი კვირის წინ ჩამოიარეს ყველა ოჯახში და ზამთრისთვის წითელარმიელებისთვის თბილი ტანსაცმელი შევაგროვეთო. ორი დღე და ღამე თვალი არ მომიხუჭავს. წინდები და ხელთათმანები დავქსოვე, ცოტაოდენი არაყი მქონდა, ისიც და ჩურჩხელებიც გავატანე. არ ვიცი ვის შეხვდება, ან სადამდე ჩააღწევს. მხოლოდ ერთი ვიცი, როგორც დედა, სამამულო ომის მონაწილის მეუღლე, თავს ვალდებულად ვთხვლი დავეხმარო წითელ არმიას.“

◆ „თებერვლის სუსხიანი დღეა, მაგრამ მე მაინც მიხარია. ერთი იმიტომ, რომ ფოსტალიონმა დღეს შენი წერილი მომიტანა. გავიგე, რომ კარგად ხართ. ერთერთი სოფელიც გაგინთავისუფლებიათ. ერთი წელი გავიდა, რაც დაგვტოვე და მგონია საუკუნე გავიდა. ხომ არ დაგავიწყდა, დღეს ჩვენი ბიჭის დაბადების დღეა, დედა ენაცვალოს. გვჯერა მამიკო გაიმარჯვებს და მალე მოვა“

◆ „როგორ მძულან კაციჭამია ფაშისტები, რამდენი ოჯახი დაანგრიეს. მინდა თითოეულ მათგანს ფრჩხილებით ამოვჩიჩქნო თვალები. ყველა დედის, ყველა მეუღლის და შვილის მაგივრად. მცირეწლოვანი შვილი ვის დავუტოვო, თორემ მეც შაშხანას ავიღებდი ხელში“.

◆ „როგორ დაიტიოს ბოლმა ადამიანის გულმა. მეუღლე, ორი ძმიშვილი, 5 ბიძაშვილი სიკვდილის პირისპირ დგანან და არ ვიცით ვის რა მოელის. სამი ღამეა, არ მძინებია. დღისით მუშაობაში ვერთობი. ოხ, ეს ღამეები. ცუდი სიზმრები დამჩემდა. არ ვარ მშიშარა, მაგრამ მაინც ქალი ვარ, დედა... ბიჭს მშვიდად სძინავს, მისი ხელი მიჭირავს და ჩემი გულის მაგიერ მისი გულის ძგერას ვგრძნობ. ვლოცულობ, ღმერთო დააქციე ჰიტლერის ოჯახი“.

◆ „ოთხი თვე გავიდა, წერილი არ მიმიღია. რაღაც ცუდს მიგრძნობს გული. გაზეთები წერენ, ომი მალე დამთავრდებაო, მაგრამ... ბიჭი უკვე 8 წლის გახდა. რომ დააკვირდე, გადახატული მამამისია. დედა ენაცვალოს, ყველაფერში მეხმარება, ცდილობს გვერდით დამიდგეს. კარგადაც სწავლობს, მისით ვამაყობ“.

◆ „ომი დამთავრდა, ყველა ზეიმობს... საერთო გამარჯვება მეც მიხარია... მაგრამ ის არ ჩანს... უგზო უკვლოდ დაიკარგაო... ვაიმე, ჩემო თავო... შვილს კიდევ არ ვუმხელ ამ ამბავს. მხოლოდ ის იცის, რომ ორივე მისი ბიძები მძიმედ არიან დაჭრილები. ოთხი ბიძაშვილი დაიღუპა. ოჰ, ეს ულმობელი წუთისოფელი... მტრის ჯინაზე შვილს გავზრდი, მამის კვალზე დავაყენებ, ძალიან კაცთმოყვარეს გამოვიყვან.“ - თ. კ.

◆ „ბიჭი ჯარში გავაცილე, 1955 წელია. უკვე მშვიდობაა, მაგრამ დედის გული მაინც ათასნაირი აზრით არის დამუხტული. ჩემო ერთადერთო, მასახელე, ომში დაკარგული მამა არ შეარცხვინო. შენი გმირობით სხვა დედები დაიცავი საძაგელი მტრისგან. ძნელია, ეს სიმარტოვე გულს მიჭამს.“

1982 W. GAZETI `AXALI SIRAQI~

---

შვილები: ქეთინო, ეკა, ილია ლეკაშვილები, რძალი ლელა ვარდიაშვილი, სიძეები: ნიკა დოდაშვილი, გიორგი მარქაროვი, შვილიშვილები: ვეკო, ანნა, დაჩი დოდაშვილები, ლუკა ლეკაშვილი, შვილთაშვილი ნიკო კილაძე იუწყებიან

როზერტი ლეკაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 მაისს სოფელ სამრეკლოში.

---

ნაირა გორაშვილი, ზურაბი და მაგდა პოპიაშვილები ოჯახებით იუწყებიან

როზერტი ლეკაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ქეთინო, ეკა და ილია ლეკაშვილების ოჯახებს.

---

ილია მარტყოფლიშვილი ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის 2001 წლის კურსდამთავრებულების სახელით და კლასის ხელმძღვანელი ლალი ინაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გოგიტა მაზანაშვილს მამის

აპოლონ მაზანაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

დედა ლილი პოპიაშვილი, მეუღლე გელა ლაპიაშვილი, შვილები: ქეთი, მარი, სიძე ნიკა ჭანტურია, შვილიშვილები: ბარბარე, ნიცა იუწყებიან

ფიქრია ქადაგიძის

გარდაცვალებას, დაიკრძალა 8 მაისს ქ. დედოფლისწყაროში.

---

ძმა მურადი, ძმისცოლი ლია, ძმისშვილები: ლანა, თიკა, გივი, გოჩა, სიძე აგაზიკა ალვანჯანიანი იუწყებიან

ფიქრია ქადაგიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

დეიდები: ნანა, დალი პოპიაშვილები, ბიძა ნიკო კოტაშვილი, დეიდაშვილები: გოჩა და ეთერ ათანელიშვილები, მევლუდი და მერაბი კოტაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ფიქრია ქადაგიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

ბიძაშვილები: ლექსო, ირმა პოპიაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ფიქრია ქადაგიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

ანზორი, ზაური, თენგიზი, ილია მარტყოფლიშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ლილი პოპიაშვილს შვილის, მურად ქადაგიძეს დის

ფიქრია ქადაგიძის

გარდაცვალების გამო.

# გიორგობა ისტორიულ ჰერეთში

*„6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) სამღვდელოებასთან ერთად სადღესასწაულო წირვა აღასრულა ისტორიულ ქართულ კუთხეში - საინგილოში, კახის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში. საღვთო ლიტურგიის შემდეგ მეუფე დიმიტრიმ პარაკლისი გადაიხადა ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში. კახში სტუმრად იმყოფებოდა საქართველოს ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში თეიმურაზ შარაშენიძე, გენერალური კონსული მამუკა ბალავაძე და საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები. სადღესასწაულო წირვასა და პარაკლისს ადგილობრივ ქართველ მართლმადიდებლებთან ერთად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული მრევლიც ესწრებოდა.*



სამწუხაროდ, კახის რაიონისგან განსხვავებით, ზაქათალის რაიონის დაბა ალიაბადში მცხოვრებ მცირერიცხოვან მართლმადიდებელ ქრისტიანებს თავისი აღმსარებლობის დამალვა უწევთ დისკრიმინაციის და დევნის გამო. დაბა ალიაბადში არ არის არც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია იმ დროს როდესაც მოქმედებს ბაპტისტური სალოცავი და მუსლიმური მეჩეთი მედრესთან ერთად. ეკლესიის აშენების ან მართლმადიდებლური სამლოცველოს გახსნის მცდელობებს ადგილობრივი აზერბაიჯანული ადმინისტრაცია ეწინააღმდეგება. ალიაბადში, სადაც 14 ათასზე მეტი ინგილო ქართველი ცხოვრობს, 4 საჯარო სკოლიდან მხოლოდ 1 სკოლაშია დარჩენილი ქართული სექტორი, რის გამოც ალიაბადის მოსწავლე-ახალგაზრდობის უმრავლესობამ აღარ იცის მშობლიურ ქართულ ენაზე წერა-კითხვა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში, ხრუშჩოვის ანტიქართული პოლიტიკის პერიოდში ზაქათალისა და ბელაქნის რაიონებში მცხოვრებ ინგილო ქართველებს საბჭოთა აზერბაიჯანის ადმინისტრაციამ პასპორტებში ქართული გვარები იძულებით შეუცვალა ახლად გამოგონილი აზერბაიჯანული გვარებით და ისინი დღემდე ვერ ახერხებენ დოკუმენტებში ძველი გვარების აღდგენას (ამის გამო დაბა ალიაბადის ახალგაზრდობის ნახევარზე მეტს უკვე აღარც ახსოვს თავისი ძველი ქართული გვარი და აღარც ინტერესდება თავისი წარმომავლობითა და საქართველოს ისტორიით). მაგალითად, საინგილოში ქევხიშვილებს გვარი „მამედოვებად“ აქვს გადაკეთებული, იაშვილებს „აბდურახმანოვებად“, ნაცვლიშვილებს „ისმაილოვებად“, ბიჭიკაშვილებს „შაბანოვებად“, რამაზაშვილებს „რაგიმოვებად“, ჯანაშვილებს „ალაჰვერდიევებად“ და ა. შ. ამასთან, სკოლებში აზერბაიჯანელი პედაგოგების მხრიდან მიმდინარეობს პროპაგანდა, რომ ინგილოები თურმე არა ქართველები, არამედ ალბანელები არიან(!), რის გამოც ალიაბადის მოსწავლე-ახალგაზრდობის ნახევარზე მეტი თავს ქართველს აღარც უწოდებს.

აზერბაიჯანული ადმინისტრაციის მხრიდან ინგილოებისთვის დღემდე არსებობს ქართული (ისევე როგორც ევროპული) სახელების დარქმევის არაოფიციალური, სრულიად უკანონო აკრძალვა და ახალდაბადებული ბავშვისთვის მხოლოდ აზერბაიჯანული სახელების დარქმევის ნებართვას გასცემენ (!)“

სერგი კერესელიძე

გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“

# გაეროს წარმომადგენლები დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობა მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მერის მოადგილემ მალხაზ მერაბიშვილმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა სამუკაშვილმა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლებს რუსუდან ქობალიას, მატიე რუვერსა და გიორგი ანდღულაძეს გააცნეს.

გაეროს წარმომადგენლები დედოფლისწყაროს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში ეწვივნენ. ENPARD III-ის მიზანი (გაეროსა და ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი ერთობლივი პროგრამა) საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის ევროპული გამოცდილების გაზიარება და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ერთობლივი პროგრამების განხორციელებაა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მალხაზ მერაბიშვილმა და გოჩა სამუკაშვილმა აღნიშნეს, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არსებობს მარცვლეული კულტურის მოყვანის დიდი გამოცდილება და ხელშეწყობის პირობებში არსებული მოსავლიანობა კიდევ უფრო გაიზრდება. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს გააჩნია არატრადიციული მარცვლეული კულტურის განვითარების დიდი პოტენციალიც.

ასევე აღინიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში გატარებული რეფორმებისა და შესაბამისად, თვალსაჩინო წინსვლის მიუხედავად, პრობლემები ჯერ კიდევ არსებობს და ამ მიმართულებით ევროპული გამოცდილების გაზიარება და მატერიალური მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

FAO წარმომადგენლის, მატიე რუვერის განცხადებით, დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობის განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია და შესაბამისად, ერთობლივად განსახორციელებელი პროექტების სწორად დაგეგმვა მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.



# ულოცავენ!

## ციცინო ჩაფიაშვილს!



ჩვენთვის ძვირფასო და საყვარელო ადამიანო, გილოცავთ 80 წლის იუბილეს! გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მხნეობას იყავ ბედნიერი და გაიხარე შენს დიდ ოჯახთან ერთად! გვიყვარხარ უსაზღვროდ.

**პატივისცემით: შვილები:** მანანა, მარიკა, მაია, არჩილი, **რძალი** მზია, **მული** ნანი, **მულისშვილი** თამუნა **ძმა** გელა ოჯახებით. **შვილიშვილები**: ლევანი, ქეთი, გიგა, **შვილთაშვილი** ლუკა.


# ვაკანსია

კაფე-რესტორანი „დავითი“ აცხადებს ვაკანსიას სხვადასხვა პოზიციაზე. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: **რუსთაველის ქუჩა №53,** ან დაგვიკავშირდით ნომერზე:

☎ 577-34-55-39


# სოფელ არბოშიკში ბანკიდან 11 000 ლარი გაიტაცეს

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკში „ლიბერთი ბანკის“ ადგილობრივი ფილიალი დააყაჩაღეს. თავდამსხმელმა, რომელიც მარტო მოქმედებდა, 11 000 ლარის გატაცება შეძლო. შემთხვევა სამუშაო საათებში მოხდა.**

როგორც თვითმხილველი, მოლარე-ოპერატორი გაზეთ „შირაქთან“ ამბობს, გამტაცებელი შეიარაღებული იყო, რის გამოც წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო, თუმცა ნიღაბი არ ეკეთა. თვითმხილველები დანამდვილებით ამბობენ, რომ თავდამსხმელი სოფლის მკვიდრი არ არის და მისი ამოცნობა ვერ მოახერხეს.

„ამ ოფისში თავდაპირველად ჯერ კომპიუტერის გამავრცელებელი საზოგადოება ფუნქციონირებდა, შემდეგ უკვე ბანკი ამოქმედდა. დღე იყო, ჩვეულებრივად ვმუშაობდით და მამაკაცი შემოვიდა, რომელსაც ნიღაბი არ ჰკეთებია. ვერ ვიცანით, რადგან ამ სოფლიდან არ არის. უცხო პირი იყო, ამოცნობა ვერ შევძელით. იარაღი ეჭირა და ფული მოითხოვა. რაც მქონდა მივეცი, წინააღმდეგობას ვერ გავუწევდი. გაიქცა თუ არა, პოლიცია გამოვიძახეთ და მალევე მოვიდნენ. აბსოლუტურად ყველა დაკითხეს, ვინც ამ შენობაში იყო. გამომძიებელს მეც მივეცი ჩვენება და დანარჩენ დეტალებს გამოძიება გაარკვევს. თუკი დააკავებენ, სავარაუდოდ შევძლებ ამოვიცნო,“ - აცხადებს მოლარე-ოპერატორი.

არბოშიკელები ამბობენ, რომ, როგორც თვითმხილველები აღწერენ, გამტაცებელს კეპი ეხურა.

„ნიღაბი არ ეკეთა, მაგრამ სახე მაინც დამალული ჰქონდა. როგორც ამბობენ, დიდი შავი სათვალე ეკეთა, თავზე კეპკიანი ქუდი ეხურა, ბევრმა დაინახა, მაგრამ ვერავინ ვერ იცნო ის უცხო პიროვნება. მერე გავიგეთ, რომ 11 ათასი გაუტაცია, მაგრამ ვინ იყო, ვერ დავადგინეთ,“ - აღნიშნავენ არბოშიკელები.

ფაქტზე მოკვლევას შინაგან საქმეთა დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველო აწარმოებს. გამოძიებამ თვითმხილველები უკვე დაკითხა.

ილია მარტყოფლიშვილი

# ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 14.05 | | სამშაბათი 15.05 | | ოთხშაბათი 16.05 | | ხუთშაბათი 17.05 | | პარასკევი 18.05 | | შაბათი 19.05 | | კვირა 20.05 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 19° | 15° | 21° | 16° | 20° | 17° | 20° | 16° | 20° | 18° | 21° | 19° | 16° | 17° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.